

2018

30 ღაქაბბარი

#1

არქეოლოგია



ARCHEOLOGIA
არქეოლოგია

ევროპის უნივერსიტეტის
აკადემიკოს ა. აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის
ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ჟურნალი

ერეკლე II-ს სახელის დაწერილობის შესახებ

გოგა გაბაშვილი

მკვლევარი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველო

აბსტრაქტი

სტატიაში წახმოდგენილი კვლევა ეხება საქართველოში მოქმედ მონეტაზე ერეკლე II-ს სახელის დაწერილობის საკითხს. მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, აჩაეხთი სამეცნიერო პუბლიკაცია მიუძღვნა საქართველოს ნუმისმატიკური ძეგლების შესწავლას. აღნიშნულ საკითხს ფუნდამენტური, სამეცნიერო პუბლიკაციები მიუძღვნეს მ. ბოსლემ, მ. ბაჩათაევმა, ი. ბახთოლომეიმ, ვ. დანგლუამ, ე.ა. პახომოვმა და დ. კაპანაძემ, ხომელთა შიომებიც დღემდე ფასდაუდებელია ნუმისმატიკით დაინტერესებული მკვლევარებისთვის. წინამდებარე სტატიაში, სწორედ მათ მეცნიერულ მოსაზრებებზე დაყრდნობითა და მუზეუმებში დაცული ერეკლე II-ის მონეტებზე დაკვირვებით (ქ. სანკვ-ბეგეხბუხგის საიმპერატორის ემიტაჟის კოლექცია (შაუხიანი, ინვ. N14522); საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია (ბისტი, ინვ. N5308)), შემოთავაზებულია ახლებური ხედვა ერეკლე II-ს (1762-1798წწ.) სახელის დაწერილობის შესახებ.

თბილისში მოქმედ (=1765-66) მონეტასთან მიმართებით, ბაჩათაევს ეხედვს სახელის ქაჩაგმაში ექვსი ნიშნის ნაცვლად შემოთავაზებული აქვს მხოლოდ სამ ასომთავხური ნიშანი ("rkl" – „რკლ“). პახომოვმა ანალოგიური ქაჩაგმა წაკითხა ხოგოხც ხუთი ასომთავხური ნიშანი, მეოხე "e"-ს "ე" ასო კი მხოლოდ ვიხტუადუხად დაამატა. ცხადია, ამგვარ ამოკითხვას შეცდომაში შევყავართ. დ. კაპანაძემ მოცემული ქაჩაგმის წაკითხვას გვეხილ აუაჩა და ერეკლეს სახელის ქაჩაგმის ამოკითხვის საკითხი ისევ ისე ბუნდოვანი დაჩჩა, ხოგოხც წინამოხბელთა შემთხვევაში გვექონდა. მონეტაზე გამოსახული ქაჩაგმის დაშლით, გჩაფიკურ გამოსახულებაზე ზედა ჰოხიზონტადუხი ხაზის ცენტრიდან ქვემოთ მიმართული მოკლე ვეტიკალური ხაზის ნაკლებოვანების გათვალისწინებითა და სხვა მონეტებზე წახმოებური შედახებითი ანაღიზის საფუძველზე, ეჭვგაჩეშე ვლებურობთ სახელწოდება "irakli"-ს „იჩაკლი“-ს (და აჩა "erakli"-ს „ერჩაკლი“).

ქაჩთურ ნუმისმატიკური მასაღებში აჩის მონეტების ისეთი ცაღები, სადაც წაჩწეხები აჩასწოხადაა შესხუღებული (შემობხუნებული ასოები, საჩკისებუხად შესხუღებული წაჩწეხა, ან შეცდომით დაწეხიღი e-i, e-v). ყვეღა ეს შეცდომა შეგვიძღღია მივაწეხოთ სიქის მომწეღს,

ხადგან ეს მონეტები მხოლოდ ცადებია. ეხეკლე II-ს მონეტებზე შეცდომები ჩნდება მხოლოდ თაჩილის დაწეხილობისას, სადაც ევხოპუდი თაჩილი ახ ემთხვევა ჰიჭხით მოცემულ თაჩილს. დანახიჩენ შემთხვევებში ეხეკლე II-ს მონეტების სიქები უზადოდაა შესხულებული.

საკვანძო სიტყვები: ერეკლე II, ნუმისმატიკა, სიქა, შაური, ბისტი

მინდა შეგახსენოთ, რომ ქართული ნუმისმატიკის შესწავლა დაიწყო XVIII საუკუნეში, როდესაც 1782 წ-ს ადლერმა ქ. რომში გამოაქვეყნა საქართველოში მოჭრილი მონეტა, სხვა აღმოსავლურ მონეტებთან ერთად¹. მ. ბროსემ ვრცელი ნაშრომი ქართულ ნუმისმატიკაზე 1835-1836 წლებში ორ ნაწილად გამოსცა: “Dissertation sur les monnaies Georgiennes etc”. “Нумизматические факты Грузинского царства” გამოაქვეყნა მ. ბარათაევმა, 1844 წელს. მრავალი სტატია აქვს დაბეჭდილი ასევე ი. ბართოლომეის, 1839-1861 წლებში. ვ. ლანგლუამ 1852 წ. გამოსცა ქართული ნუმისმატიკის სისტემური მიმოხილვა, რომელზეც ე.ა. პახომოვი წერს: В. Ланглюа выпустил свои первый, крайне неудачный, систематически обзор монет Грузии, повторив в нем большинство ошибок кн. Баратаева и других предшественников. 1910 წ. გამოიცა ე.ა. პახომოვის ფუნდამენტალური მონოგრაფიის „Монеты Грузии“ პირველი ტომი. 1970 წელს დაიბეჭდა დ. კაპანაძის მიერ რედაქტირებული ე. ა. პახომოვის სრული ნაშრომი, რომელიც დღემდე აქტუალურია. 1969 წ. დაიბეჭდა დ. კაპანაძის დიდი ნაშრომი „ქართული ნუმისმატიკა“, როგორც დამატებითი სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის.

ცხადია, კვლევები ამ ნაშრომების შემდეგ არ შეწყვეტილა. ქართველი და უცხოელი მკვლევარები შეისწავლიან საქართველოს ნუმისმატიკურ ძეგლებს და აქვეყნებენ წიგნად ან სტატიების სახით.

მინდა შემოგთავაზოთ ჩემი კვლევა ერეკლე II-ს (1762-1798 წწ.) სახელის დაწერილობის შესახებ და ამისათვის გადავხედოთ, როგორ კითხულობენ ჩვენი წინამორბედი მკვლევარები ერეკლე II-ს სახელს მის მონეტებზე.

მ. ბარათაევი ერეკლე II-ს სახელს შემდეგნაირად კითხულობს:

1. ე რ ე კ ლ ე²
2. e P e K L e (Ираклий)
3. e R e C L e (Heraclius)



ანუ ბარათაევი ექვსი ასოს მაგივრად ერეკლეს სახელის ქარაგმაში კითხულობს მხოლოდ სამ ასომთავრულ ნიშანს „rkl“ („რკლ“). ამ ქარაგმის ასეთი წაკითხვა უეჭველად შეცდომაა.

ე.ა. პახომოვი ამ მონეტებს შემდეგნაირად კითხულობს:

№ 138. АЕ, шаури, d = 38 – 40mm., p = 44,9 grm.

1 Е.А. Пахомов, Монеты Грузии. Тб., 1970. Ст. 6.
 2 М. Баратаев, Нумизматические факты Грузинского царства. Разряд IV, ст. 11.

Лиц. Ст. – В ободке из двух гладких кругов и цепи звезд между ними, вписана четырехосевая розетка, в центральном квадрате которой помещена легенда асомтаврული, с титлом над нею: erekle=erekle т.е. Эрекле (Ираклий). оба е слиты с соседними буквами в монограммы. В двух верхних сегментах украшения, а в двух нижних: Епѣ 9 / /11 ჳაქიწ / т.е чекан Тифлиса. 1179



როგორც ვხედავთ, პახომოვი ქარაგმაში ხედავს მხოლოდ ხუთ ასოს, მეორე “e”-„ე“ ასოს მხოლოდ ვირტუალურად ამატებს წაკითხვისას. შემდეგი მონეტა, №141 მან ასე აღწერა:

№ 141. АЕ, полубисти, d = 22 – 24mm., p = 8.0 – 8.75 grm.

Лиц. Ст. – В фигурном овале имя Ираклия, как на №№ 138-140: erkle с титлом наверху (оба е слиты с соседними буквами); по сторнам овала – по крупной звезде. Ниже, под горизонтальной чертой, в две строки: /117 ჳაქიწ N9/Епѣ т.е чекан Тифлиса, ободок гладкий. Диаметр матрицы около 25mm.

ამ შემთხვევაშიც, პახომოვი ქარაგმაში კითხულობს მხოლოდ ხუთ ასოს – „erekle“-„ე-რეკლე“ და წაკითხვისას არ ამატებს მეორე “e”-„ე“ ასოს.

ე.ა. პახომოვის მიერ აღწერილ ერეკლეს შაურს N138 დ. კაპანაძე აღწერს შემდეგნაირად:



№211. შუბლი: რთულ ჩარჩოში მოთავსებული ბაგრატიონთა საგვარეულო ღერბი: გვირგვინი, სფერო, სკიპტრა და მახვილი; ზურგი: სხვადასხვა მოყვანილობის ჩარჩოში მოთავსებული მეფე ერეკლეს სახელი ასომთავრულად: ქვემოთ სპარსულად: „იქედა თბილისს 1179“ (=1765-66)³.



როგორც ვხედავთ, დ. კაპანაძემ გვერდი აუარა ერეკლეს სახელის ქარაგმის წაკითხვას და ყველაფერი ისევე ბუნდოვანი დატოვა როგორც მისმა წინამორბედებმა.

განვიხილოთ ერეკლე II ორი მონეტა: შაურიანი რომელიც ქ. სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო ერმიტაჟის კოლექციაშია, ინვენტარი №14522 (სურ. 1) და ბისტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია,

ინვენტარი №5308 (სურ. 2).



სურათი 1.

3 დ. კაპანაძე. ქართული ნუმისმატიკა. თბ., 1969. გვ. 151.

შაურიანის შუბლზე გამოსახულია ასომთავრული ქარაგმა, რომელიც სამი ბლოკისაგან შედგება, თითოეულ მათგანში გაერთიანებულია ორი ასო, ერთი ხმოვანი და ერთი თანხმოვანი (სურ. 3).



სუხათი 3.

სწორედ ამ სამმა ბლოკმა შეიყვანა შეცდომაში მ. ბარათაევი და ანალოგიური ქარაგმა წაიკითხა სამ ასომთავრულ ასოდ: “rkl” – „რკლ”. ე. ა. პახომოვმა, რატომღაც, ანალოგიური ქარაგმა წაიკითხა როგორც ხუთი ასომთავრული ასო: „erekle – „ერკლე”. დ. კაპანაძემ ამ ქარაგმას სათანადო ყურადღება არ დაუთმო. მოდი, დავშალოთ ქარაგმა და ასო-ასო წავიკითხოთ მასზე გამოსახული ასომთავრული ნიშნები (სურ. 4).



2 3 4 5 6 7 8

სუხათი 4

პირველ ბლოკში კარგად იკითხება ერეკლეს სახელის მეორე ასო “r”-„რ”. ამ ასოს დანერვილობა ეჭვს არ იწვევს (სურ. 4; ნახ. 3) სახელის პირველი ასო, რომელიც წაიკითხულია როგორც “e”-„ე” სინამდვილეში უნდა იყოს ასო “i”-„ი”, რადგან ამ ასოს გრაფიკულ გამოსახულებას აკლია ზედა ჰორიზონტალური ხაზის ცენტრიდან ქვემოთ მიმართული მოკლე ვერტიკალური ხაზი (სურ. 4; ნახ. 2) თუ ვნახავთ ამავე პერიოდში მოჭრილ გიორგი XII-ს მონეტის ასევე დაშლილი ქარაგმის ბოლო ასოს, რომელიც უდაოდ უნდა იყოს ასო “i”-„ი”, ყოველგვარი ეჭვი იფანტება (სურ. 5; ნახ. 6).



1 2 3 4 5 6

სუხათი 5.

მეორე ბლოკში გაერთიანებული ორი ასოდან კარგად იკითხება ასო “k”-„კ” (სურ. 4; ნახ. 5). ასოების ამ ბლოკის გრაფიკას აქვს მარცხენა მხრიდან ცენტრში მცირე შვერილი, რომელიც იხრება ქვევით და მალევე მთავრდება მსხვილი წერტილით ბოლოში. როდესაც მას ვაცილებთ “k”-„კ” ასოს, მარცხენა ნაწილს ქარაგმიდან იკითხება ასო “a”-„ა” (სურ. 4; ნახ. 4). ამგვარად, ქარაგმის ორი ბლოკიდან მივიღეთ ოთხი ასომთავრული ნიშანი “irak”-„ირაკ”. მესამე ბლოკში უკვე თავისუფლად შეგვიძლია ამოვიკითხოთ ასოები “l”-„ლ” (სურ. 4; ნახ. 6). და “i”-„ი” (სურ. 4; ნახ. 7). სახელის ბოლო ასო „ი“-ს გრაფიკა სახელის პირველი ასოს აბსოლუტურად იდენტურია. ამგვარად, ვღებულობთ სრულ წარწერას მონეტაზე: “irakli”-„ირაკლი” (სურ. 4; ნახ. 8).

განვიხილოთ ერეკლე II-ს კიდევ ერთი მონეტა (სურ. 2). ამ ტიპის მონეტებზე ქარაგმა უფრო გაშლილია და ცალკეული სამი ბლოკი უფრო დამაჯერებლად მოსჩანს. ასევე კარგად და დამაჯერებლად მოაჩნს მეორე ბლოკში ასო “ა”-„ა“ (სურ. 6; ნახ. 4). ყველა ასო ზუსტად ისეა განლაგებული, როგორც შაურიანზე (სურ. 3). ერეკლე II მესამე ტიპის მონეტის ქარაგმაც ამ მონეტების იდენტურია და ზუსტად იმეორებს მათ გრაფიკას (სურ. 7). წარმოდგენილი მასალის მიხედვით, დაბეჭდვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერეკლე II მონეტებზე მოთავსებული ქარაგმა იკითხება როგორც “irakli”-„ირაკლი“ და არა “erakli”-„ერაკლი“.



სურათი 2.



სურათი 6.



სურათი 6.

ქართულ ნუმისმატიკურ მასალებში არის მონეტების ისეთი ცალები, სადაც წარწერები არასწორადაა შესრულებული (შემობრუნებული ასოები, სარკისებურად შესრულებული წარწერა, ან შეცდომით დაწერილი e-i, e-v). ყველაზე ხშირად მსგავს შეცდომები ქართულ-ბიზანტიური ტიპის ვერცხლის მონეტებზე გვხვდება. შეცდომები ჩნდება ხანდახან შუა სუკუნეების მონეტებზე (XII-XIII სს.) და დაკნინებულ მონეტებზე (XIV-XVI სს.). არის ასევე ცნობილი ბაქარის მონეტა, სადაც არაბული ზედწერილი სარკისებურად იკითხება. ყველა ეს შეცდომა შეგვიძლია მივანეროთ სიქის მომჭრელს, რადგან ეს მონეტები მხოლოდ ცალებია და არ წარმოადგენს რამე სამონეტო ტიპს.

ერეკლე II-ს მონეტებზე შეცდომები ჩნდება მხოლოდ თარიღის დაწერილობისას, სადაც ევროპული თარიღი არ ემთხვევა ჰიჯრით მოცემულ თარიღს. დანარჩენ შემთხვევებში ერეკლე II-ს მონეტების სიქები უზადოდაა შესრულებული, ქარაგმის გრაფიკული გამოსახულება სამივე ტიპის მონეტაზე ყოველთვის სტანდარტულად ერთნაირია.

არ შეიძლება არ ვახსენოთ გეორგიევსკის ტრაქტატი, სადაც მეფე ერეკლე II მოხსენებულია როგორც ირაკლი: „აზრითა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა ...“.

მადლობას ვუხდით ბაგონ იჩაკვი ფალავას
კოლეგიალური მხარდაჭერისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაპანაძე დ., ქართული ნუმისმატიკა. თბილისი 1969.
2. Баратаев М., Нумизматические факты Грузинского царства. Санктпетербург 1844 г.
3. Пахомов Е.А., Монеты Грузии. Тбилиси 1970.

Renederer the name of Heraclius II (Numismatic evidence)

Goga Gabashvili

Researcher at Georgian National Museum, Georgia

ABSTRACT

The research presented in the article deals with the issue of writing the name of Heraclius II on a coin minted in Georgia. Since the 18th century, a number of scientific publications have been devoted to the study of numismatic monuments of Georgia. Scientific publications were dedicated to the mentioned issue by M. Brosset, M. Barataev, I. Bartholomew, V. Langlois, E.A. Pakhomov and D. Kapanadze, whose works are still invaluable. In the present article, based on their scientific opinions and observing the coins preserved in museums, a new perspective is proposed about the spelling of the name of Heraclius II.

In relation to the coin minted in Tbilisi (=1765-66), Barataev has proposed only three Asomtavruli signs instead of six. Pakhomov sees only five letters in the abbreviation, the second "e" is only virtually added while reading the word. Reading this abbreviation in the following way is undoubtedly a mistake. D. Kapanadze avoids reading the abbreviation of the name and lets all remain vague, much like others had done before him.

By decomposing „kargma” on the coin, taking into account as long as the short vertical line directed downwards from the center of the upper horizontal line is missing in the graphic depiction of this letter, we undoubtedly get the name "irakli", not "erakli".

In Georgian numismatic materials are the samples with incorrect inscriptions. In case of the coins of Heraclius II errors appear only in dates when European and Hijra dates do not coincide, otherwise the mintage of the coins are always faultless.

KEYWORDS: HERACLIUS II, NUMISMATICS, „SIQA”, „SHAURI”, „BISTI”